

როსტომ შარაშულიძე

ზომი რიცხვითი სახელის ფუძის ისტორიისათვის  
ნახურ ენაზე

ნახური ენების რთული რიცხვითი სახელებიდან ოცეულების აღმნიშვნელი სახელების ანალიზი საშუალებას იძლევა აღვადგინოთ ერთეულების აღმნიშვნელი პირველი ხუთი რაოდენობითი რიცხვითი სახელის თავდაპირველი სახე.

ი. ჯავახიშვილის თვალსაზრისით, ნახურ ენებში ოცის აღმნიშვნელი ტ ყ ა, აფხაზურ ადიღურ ენათა მსგავსად, „**ორ ათსა** უნდა ნიშნავდეს“ (ჯავახიშვილი 1992, 298). ტ ყ ა სიტყვის აგებულების შესახებ იგი წერს: „**ტყა** და **თყა** რომ ამ თვალსაზრისით და აგებულების მიხედვით განვიხილოთ, ... თავკიდური **ტ** და **თ** აქ **იტტ**-ის და **ითთ**-ის, ე. ი. **ათის** ნაშთია. თუ ეს აზრი მცდარი არ არის, მაშინ **ყა** უნდა **ორსა** ნიშნავდეს. მაგრამ ჩაჩნური თვლის სისტემის მიხედვით ერთეულების რაოდენობის აღმნიშვნელი სახელი ყოველთვის ათეულის სახელს უძღვის წინ. ამიტომაც უფრო საფიქრებელია, რომ დილღური ენების **ორათის** აღმნიშვნელ სახელშიც პირველი ადგილი სწორედ **ორს** ჰქონოდა. ამ შემთხვევაში უნდა გვეფიქრა, რომ თავკიდური **ტ** ორის სახელის ნაწილია და **ტყა** მთლიანად **ორსა** ნიშნავს“ (ჯავახიშვილი 1992, 298).

დიღურში **ყანო** „ორს“ ნიშნავს, — განაგრძობს ი. ჯავახიშვილი, —სადაც **ნო** რიცხვითი სახელების დაბოლოებაა, ამიტომ ძირად **ყა** გვრჩება, რომელიც **ტყა**-საგან **ტ**-ს უქონლობით განირჩევა, ხოლო უბიხური „ორის“ **ტყო** და ნახური „ოცის“ **ტყა** სახელები მხოლოდ ხმოვნებით განირჩევიან. ირკვევა, რომ ნახურ ენებშიც **ორს ტყა** ან **თყა** ერქვა“. ი. ჯავახიშვილი ასკვნის, „თუ ჩვენი ზემომოყვანილი მოსაზრება მცდარი არ არის, მაშინ **ოცის დილღურ სახელს თავის პირვანდელი შედგენილობის ათის აღმნიშვნელი მთელი მეორე ნაწილი... დაკარგული უნდა ჰქონდეს**“ (ჯავახიშვილი 1992, 298).

სხვაგვარი ვარაუდი აქვს ი. დემერიევს. იგი წერს: „რიცხვით სახელებს **ითთ** (ბაცბ. **იტტ**) და **ტყა**, ალბათ, ერთი ძირი აქვთ“ (დემერიევი 1953, 463).

სპეციალურ ლიტერატურაში **ტყა**||**ტყო** სახელის **ტ** თანხმომავანი კვალი-ფიცირებულია როგორც გაქვავებული გრამატიკული კლასის ნიშანი. აქვე ვიტყვით, რომ **ფხი** „ხუთი“ ფორმაშიც **ფ**-ს განიხილავენ როგორც ოდინდელ გრამატ. კლასის ნიშანს (ჯავახიშვილი 1992, 420; თიმაევი 1983, 166; ვაგაპოვა 1987, 4...).

ნახურ ენებში „თვლის ტიპი იგივეა, რაც ქართველურ ენებში“, — წერს ვ. თოფურია (თოფურია 1979, 136) და იქვე სქოლიოში შენიშნავს, წოვა-თუ-შურს ა. შანიძემ მიაქცია ჩემი ყურადღება და სათანადო მასალაც მომაწოდაო.

თვლის სისტემა ნახურში ათობით-ოცობითია. ათობითი სისტემისაა

თვლა თერთმეტიდან თვრამეტის ჩათვლით: ჯერ ერთეულებია, შემდეგ - ათეული, მაგ., ჩეჩნური **ცჰაითთ** „ერთი + ათი“ (თერთმეტი), **კოითთ** „სამი + ათი“ (ცამეტი)... გამონაკლისია **ტყაენსა** „ცხრამეტი“, რომლის შესახებაც ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „**19-ის აღმნიშვნელი თყიენსა აღბათ 20 ერთნაკლებს უნდა ნიშნავდეს**“ (ჯავახიშვილი 1992, 300). ი. ჯავახიშვილისეული ეტიმოლოგია, მცირეოდენი განსხვავებით (კერძოდ, იგი ნიშნავს „მეოცე ცარიელს“) გაზიარებულია ნახურ ენათა მკვლევრების მიერ.

ოცობითია თვლა ოციდან ოთხმოცდაცხრამეტამდე. მაგ., ჩეჩნური **ტყაჲ ცჰაა** „ოცდაერთი“, **შოვზტყა** „ორჯერ ოცი“ (ორმოცი)...

ოცულების აღმნიშვნელი დანარჩენი რიცხვითი სახელები ნახურ ენებში წარმოდგენილია შემდეგნაირად: **შოვზტყაა|შაუზტყა** „ორმოცი“ (< **შოზზა ტყა** „ორჯერ ოცი“), **კუზტყა|კოჲუზტყა|კაჲუზტყა** „სამოცი“ (< **კჲოზზა ტყა** „სამჯერ ოცი“), **დჲჲუზტყა|დჲჲჲუზტყა|დჲ(ჲ)უზტყა** „ოთხმოცი“ (< **დიაზზა ტყა** „ოთხჯერ ოცი“). ამავე პრინციპით არის ნაწარმოები წოვა-თუშურში **ფხაჲუზტყა** „ასი“ (< **ფხიაზზა ტყა** „ხუთჯერ ოცი“). „ასის“ შესატყვისი ჩეჩნურ-ინგუშურში არის **ბა||ბჲჲ**, რომელშიც, როგორც ვარაუდობენ, გამოიყოფა ფუძეს შეხორცებული გრამატიკული კლასის ნიშანი (ვაგაპოვა 1987, 6).

„ორმოცის“, „სამოცის“, „ოთხმოცის“ (ყველა ნახურ ენაში) და „ასის“ (წოვა-თუშურში) აღმნიშვნელ რიცხვით სახელებში გამოიყოფა „ოცის“ გამომხატველი სიტყვა **ტყა|ტყო**, რომელსაც უსწრებს ჯერობის აფიქსი **ზ** (< **ზა**). აღსანიშნავია, რომ ჯერობის აფიქსად სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფილია **უზ** კომპლექსიც (თიმავეი 1964, 119; ვაგუა 1983, 252...), ხოლო, სადაც ჯერობის აფიქსად ოდენ **ზ** ფორმანტია გამოყოფილი, **ვ(ჲ)** სეგმენტზე არაფერია ნათქვამი (ვაგაპოვა 1987, 6). **ვ(ჲ)** სეგმენტი კი შესაბამის სახელებში წარმოდგენილი არ არის (გამონაკლისია წოვა-თუშური **დჲგ**, იხ. ქვემოთ).

შევადაროთ, ჩეჩნურ-ინგუშური **ცჰაა** „ერთი“, **ში** „ორი“, **კო** „სამი“, **დჲ** „ოთხი“, **ფხი** „ხუთი“ და წოვა-თუშური **ცჰაა**, **ში**, **კო**, **დჲგ**, **ფხი**.

ჩამოთვლილ რიცხვით სახელებს ჩეჩნურ-ინგუშურში ერთნაირი დაბოლოება აქვთ -ს სახით. ეს ბგერა წოვა-თუშურში მხოლოდ „ოთხის“ აღმნიშვნელ სახელში დასტურდება, სხვაგან კი, როგორც ჩანს, იგი მოშლილია.

როცა აღნიშნული სახელები მსაზღვრელის ფუნქციით არის გამოყენებული, ' ბგერა იკარგება ჩეჩნურ-ინგუშურშიც, შდრ.: **ში სთაგ** „ორი კაცი“, და-ზუსტების შემთხვევაში იგი თავის ადგილზეა: **ში' სთაგ** „სწორედ ორი კაცი“... გამონაკლისია **დ-ი'** „ოთხი“, რომელიც ფორმას არ იცვლის. არსებობს მოსაზრება, რომ დაკარგული ბგერა გრამატიკული კლას-ნიშნის რეფლექსია (თიმავეი 1983, 164). ამ მოსაზრებას თითქოს ადსტურებს ზოგი დადესტნური ენა, სადაც ცვალებადი გრამ. კლასის ნიშანი საანალიზო რიცხვითი სახელების შესაბამის სახელებში წარმოდგენილია აუსლაუტშიც. ამ მოსაზრებას დაბრკოლება ახლავს - ნახურ ენათა რიცხვით სახელებში გრამატიკული კლასის ნიშანი, ცვალებადიცა და გაქვავებულიც, მხოლოდ ანლაუტში ჩანს.

რთულ რიცხვით სახელებში წარმოდგენილი **ვ(ჲ)** ბგერა, როგორც ზემოთ აღინიშნა, დასტურდება მხოლოდ „ოთხის“ აღმნიშვნელ სახელში, ისიც წოვა-თუშურში. შეადარეთ, აგრეთვე, მისგან ნაწარმოები **დჲ-ვ-ეიტტ** „თო-

თხმეტი“, **დე-ვ-უზტყ(ა)** „ოთხმოცი“, სადაც **ვ(უ)** თანხმოვანი „ოთხის“ აღმნიშვნელი ფუძის კუთვნილებას წარმოადგენს.

რამდენადაც იმავე რთულ სახელში ჩეჩნურ-ინგუშურშიც დასტურდება **ვ(უ)** თანხმოვანი, იგი უნდა ყოფილიყო შესაბამისი ერთეულების აღმნიშვნელ **დი** რიცხვით სახელშიც. ასე რომ შეიძლება აღვადგინოთ აღრინდელი ფორმა **\*დივ** ფუძის სახით.

ანალოგიურად **ვ(უ)** ბგერის აღდგენა შესაძლებელი ხდება „ორის“, „სამის“, „ხუთის“ აღმნიშვნელ ფუძეებშიც. რეკონსტრუქციის შედეგად მივიღებთ: **\*შივ**, **\*ვოვ**, **\*ფხივ**. ჩამოთვლილ ფუძეებში **ვ(უ)** ბგერა პრანახური ენის ფაქტი უნდა იყოს, რომელიც კანონზომიერად შემონახულია ოცეულების აღმნიშვნელ სახელებში.

ცალკე დგას „ერთის“ აღმნიშვნელი **ცჰაა**. ამ ფუძის რეკონსტრუქციის საშუალება ოცეულებში არა გვაქვს. ჩვენი აზრით, აქაც უნდა გვქონოდა **ცჰავ** ფორმა, რომელშიც **ჰ** ბგერა განვითარებული ჩანს.

მაშასადამე, ოცეულთა აღმნიშვნელი სახელები და წოვა-თუშურის „ოთხის“ გამომხატველი **დივ** პირველი ხუთი რიცხვითი სახელის ფუძეებში **ვ(უ)** ბგერის აღდგენის საშუალებას იძლევა ნახურ ენათა ერთიანობის დონეზე. აღდგენილი ფორმები ასე წარმოგვიდგება: **\*ცავ**, **\*შივ**, **\*ვოვ**, **\*დივ**, **\*ფხივ**.

ერთეულთა აღმნიშვნელ სახელებში **ი** (ში „ორი“, დი „ოთხი“, ფხი „ხუთი“) და **ო** (უო „სამი“) ხმოვნებიც მეორეული ჩანს. შდრ., ოცეულთა სახელებში იგივე ფორმათა სახეობები (იხ. ზემოთ).

აღდგენილ ფორმებში, როგორცაა **დივ** „ოთხი“, **ფხივ** „ხუთი“ დ-ცვალებადი, ხოლო **ფ-** (<ბ>) გაქვავებული, ფუძეს შეხორცებული, გრამატიკული კლასის ნიშნება. **-ივ**, **-ოვ** ფუძის დეტერმინანტებს წარმოადგენენ. თითოეული ამ სახელის ძირი კი ისტორიულად ცალი თანხმოვნით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი (შესაბამისად): **ც-**, **შ-**, **ვ-**, **-**, **ხ-**.

### ლიტერატურა

**გაგუა 1983** — Р. Р. Гагуа, Основные вопросы фонетики и морфологии бацбийского имени. сб. ЕИКЯ, т. XII, Тбилиси, 1983.

**დეშერიევი 1953** — Ю. Д. Дешериев, Бацбийский язык. Москва, 1953.

**ვაგაპოვა 1987** — Т. М. Вагапова, Образование и склонение числительных в чеченском языке с учетом диалектных данных. АКД. Тбилиси, 1987.

**თოფურია 1979** — ვ. თოფურია, შრომები, ტ. III. თბილისი, 1979.

**თიმაევი 1964** — А. Д. Тимаев, Особенности имени числительного в шатоевском говоре. Сборник статей и материалов по вопросам нахского языкознания. Известия ЧИНИИЯЛ, т. V, вып. 2. Языкознание. Грозный, 1964.

**თიმაევი 1983** — А. Д. Тимаев, Категория грамматических классов в нахских языках. Ростов-на-Дону, 1983.

**ჯავახიშვილი 1992** — ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი X. თბილისი, 1992.

ROSTOM PAREULIDZE

**Towards Some Cardinal Numerals in the  
Nakh Languages**

S u m m a r y

In the Nakh languages cardinal numerals **cha** - 'one', **ši** 'two', **qwo** - 'three', **d-i** - 'four', **pxi** - 'five' are considered to be secondary.

Comparative analysis of common Nakh compound nouns such as **šowzɬqa**||**šawzɬqa** 'forty', **qūzɬqa**||**qawzɬqa**||**qowzɬqa** 'sixty', **d-jezɬqa**||**d-jewzɬqa**||**d<sup>h</sup>e(w)zɬqa** 'eighty', Tsova-Tushian **pxawzɬqa** 'hundred', **d<sup>h</sup>iw** 'four' give us opportunity to restore initial forms of above mentioned numerals, in particular: **\*cav**, **\*šiv**, **\*qov**, **\*d<sup>h</sup>iw**, **\*pxiw**. Basically **šiv**, **qov**, **d<sup>h</sup>iw**, **pxiw** vowels **i** and **o** are adopted from **a** (regressive assimilation influenced by following consonant **w**).

We believe that historical roots of the mentioned numerals consist of the following consonants: **c**- 'one', **š** - 'two', **q**- 'three', **d** - 'four', **-x**- 'five'.